საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/81 "26" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. ქაშაკაშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის №1/68 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 20 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 15 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 5 მოსამართლის, მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - გიორგი ქაშაკაშვილის განაცხადი. გ. ქაშაკაშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის საქალაქო და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებში. მისი სამოსამართლო სტაჟი და გამოცდილება ქმნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, გიორგი ქაშაკაშვილი გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2020 წლის 1 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი